პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 183 (6238)

17 ოქტომბერი, ოთხშაბათი
1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მეორე დღე

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე მეორე დღეა ფრიალებს სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მძლეოსანთა ნაკრების წევრებმა დასავლეთ ტრიბუნის წინ ჩამოატარეს (სურათზე მარცხნივ) და ჩემპიონატის გახსნის ნიშნად ანძაზე აღმართეს. სპორტის ამ დღესასწაულზე მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის და რუსეთის ფედერაციის რამდენიმე მხარისა და ოლქის სპორტსმენთა მხარდამხარ გამოვიდნენ საქართველოს მძლეოსნები (სურათზე მარჯვნივ).

ჩემპიონატის საზეიმო გახსნას დაესწრნენ ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. პატარიძე, ბ. გ. გილაშვილი, ვ. ა. კარაკაევი, გ. ვ. კოლბინი.





# ვ. სანეევის ოქროს დებიუტი „დინამოს" სტადიონზე



**გუშინწინ,** მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატის პირველსავე დღეს გამართულ სამხტომელთა საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, თბილისელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ვ. სანეევმა** პირველივე ცდაზე საკვალიფიკაციო ნორმატივს (16,30მ) 36 სანტიმეტრით გადაამეტა და უახლოესი მეტოქეები თითქმის 20 სანტიმეტრით ჩამოიტოვა.

მაშინ გამარჯვებულნი ოთხ სახეობაში გამოვლინდნენ. გუშინ კიდევ ექვს სახეობაში გაირკვა უძლიერესთა ვინაობა, მაგრამ მაყურებელთა ყველაზე დიდ ინტერესს მაინც სამხტომელთა ფინალური ტურნირი იწვევდა. გულშემატკივრები სანეევის პირველივე ნახტომს ოვაციით შეხვდნენ და სპორტსმენმაც იმედები გაამართლა — თავიდანვე დაწინაურდა, **საბოლოოდ კი 17,03 მეტრი აჩვენა და „დინამოს" განახლებულ სტადიონზე პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი.** უკანასკნელ ცდაზე შესრულებული ნახტომით (16,94 მ) II ადგილზე გავიდა მინსკელი საერთაშორისო კლასის ოსტატი გ. ვალიუკევიჩი, ხოლო „ბრინჯაო" ასევე მესამე ცდაზე მოიპოვა ესტონელმა ოსტატმა ი. უდმიაემ — 16,86 მ.

სწორედ იმ სექტორში, რომელშიც სანეევმა გამარჯვებით გაახარა თანაქალაქელები, უფრო ადრე ჩატარდა ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში ფინალური ტურნირი. ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიო რეკორდსმენის, ლიტველი **ვ. ბარდაუსკენეს** მონაწილეობამ ასპარეზობას კიდევ უფრო შემატა ეშხი. მისგან მაყურებელი ახალ რეკორდს ელოდა, მაგრამ 24 წლის ვილნიუსელმა სპორტსმენმა, რომელმაც ორიოდე კვირის წინ პრაღაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია, ამჯერად ოქროს მედალი მოიპოვა — 682 სმ. მან 16 სანტიმეტრით ჩამოიტოვა ლატვიელი სპორტის ოსტატი ი. სტუკანი. III ადგილი წილად ხვდა ი. ტიმოფეევას (რსფსრ) — 6,41.

ახალგაზრდა სპორტსმენებ ი ს მძაფრი შეტევითა და გამარჯვებით დამთავრდა შეჯიბრება 110 მეტრზე თარჯრბენში. ფინალურ ტურნირში უსწრაფესი აღმოჩნდა სსრ კავშირ — აშშ-ს იუნიორთა მატჩში გამარჯვებული **ა. პროკოფიევი** (რსფსრ), რომელმაც დისტანციის გარბენას 13,77 წამი მოანდომა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ი. ჩერვანოვი (ბელორუსია) — 13,98 და ლენინგრადელი ა. პუჩკოვი — 14,11.

იმ საღამოს ბადროს მტყორცნელმა ვაჟებმა საპრიზო ადგილებისთვის უშეღავათო ბრძოლა გამართეს. ფინალისტთა შორის ყველა ისეთი სპორტსმენი აღმოჩნდა, რომელთაც 60-მეტრიანი ზღვარი ბევრჯერ დაუძლევიათ. ერთგვარი უპირატესობა ჰქონდა ვ. ლიახოვს (რსფსრ), რომლის საუკეთესო შედეგი 65,40 მეტრია, მაგრამ ფინალში იგი მხოლოდ V ადგილით დაკმაყოფილდა (60,52 მ). **პირველობა ოდესელმა ოსტატმა ი. დუგინეცმა მოიპოვა — 62,26.** ეს სპორტსმენი 21 წლისაა და, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, მალე საერთაშორისო სტანდარტების დაძლევასაც შეძლებს. II ადგილი წილად ხვდა ლენინგრადელ ვ. რაშჩუპკინს — 62,02, ხოლო მოსკოველი ვ. რაევი III ადგილს დასჯერდა — 60,76. ვერაფრით გაგვახარა თბილისელმა ნ. ნაზღაიძემ. იგი საკვალიფიკაციო შეჯიბრების ზღვარს ვერ გასცილდა.

მაინცდამაინც მაღალი შედეგებით ვერ დაიქადნიან შუბის მტყორცნელი ვაჟები. აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **ა. ზაიცევი** (რსფსრ) — 84,90 მ, ა. ძერებცოვი — 80,08, ვ. ერშოვი (ორივე — უკრაინა) — 79,72 მ. გამარჯვებულის შედეგი ი. ლუსისის საკავშირო რეკორდს თითქმის 10 მეტრით ჩამორჩება.

ქალთა შორის ბირთვის კვრაში უძლიერესი იყო **ს. კრაჩევსკაია** — 20,70 მ. II ადგილზეა თ. ბუფეტოვა (ორივე — მოსკოვი) — 19,44, III—ნ. ისაევა (რსფსრ) — 19,22.

ო. გელაშვილი.

# ინტერვიუ ფინიშის შემდეგ

**სპორტის ოსტატი ა. ბადრანკოვი:**

— 37 წლის კაცისთვის 10000 მეტრზე რბენა იოლი როდია, — ჩემს მეტოქეთა შორის სხვა ყველაზე ხნიერი ჩემზე 8 წლით უმცროსი გახლდათ. ცხადია, ახალგაზრდებთან ბრძოლა ძნელი იყო, მით უფრო საამაყოა გამარჯვება. მართალია, დრო მაინცდამაინც მაღალი ვერ ვაჩვენე, მაგრამ ეს თბილისური სიცხისა და ჩემი მეტოქეების ბრალიცაა — მესამე კილომეტრიდან ერთპიროვნული ლიდერი გახლდით. ასეთ დროს კაცი მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს და ანგარიშს არ უწევს წამმზომს.

შარშანდელი შედეგების მიხედვით საბჭოთა სპორტსმენებს შორის მხოლოდ მერვე ადგილზე ვიყავი. საბჭოთა სტაიერების ლიდერის სახელი კი ჩელიაბინსკელ ლ. მოისეევს ეკუთვნოდა, რომელიც ამჯერად იაპონიაში საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობს, მაგრამ მაინც მომავალი ეკუთვნით მოისეევსა და სხვა ახალგაზრდებს, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, საბჭოთა სპორტს ამ დისტანციაზეც დაუბრუნებენ ძველებურ დიდებას.

**სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. ულმასოვა:**

— თბილისში, ამ სამი თვის მანძილზე, მეორედ ვიასპარეზე. „პრავდის" პრიზების გათამაშებაში მოკრძალებული შედეგი ვაჩვენე, მაგრამ აქ გატარებულ დღეებს ჩემთვის უქმად არ ჩაუვლია — ევროპის ჩემპიონატში 3000 მეტრზე ოქროს მედალი მოვიგე და პირადი შედეგი საგრძნობლად გავაუმჯობესე. თუ შარშან მსოფლიოს უძლიერესთა ელიტაში X ადგილზე ვიყავი (8.58,6), კონტინენტის ჩემპიონატის მერე პირველ ადგილზე გადავინაცვლე (8.33,8).

დღევანდელი სტარტი ჩემთვის სეზონის ბოლო დიდი შეჯიბრება იყო და შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, რა ვუყოთ, რომ დრო (8.48,4) არც ისე ბრწყინვალეა, სამაგიეროდ, 30 ძლიერ მეტოქესთან გამარჯვება კანონიერ სიხარულს იწვევს.

ყველაზე საშიშ მეტოქედ 1500 მეტრზე რბენაში კონტინენტის ჩემპიონი ჩეხოსლოვაკიელი გაინა რომანოვა მეგულებოდა. იგი ერთხანს კიდევაც დაწინაურდა, მაგრამ, როგორც ჩანს, „საწვავი" ბოლომდე არ ეყო და საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩა.

დასანანია, რომ ჩვენს დისტანციაზე საქართველოს სპორტსმენები ვერ ვნახეთ, მაგრამ ვფიქრობ, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მდგომარეობა შეიცვლება.





**სურათებზე:** (ზემოთ) მორიგი ცდის შესასრულებლად ემზადება ვ. სანეევი. ამ ცდამ მას სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონის ოქროს მედალი მოუტანა; (მარცხნივ) ვაჟთა შორის 800 მეტრზე გარბენის ერთ-ერთი მომენტი; 8000 მეტრზე მორბენალ ქალთა შორის გამარჯვებული „ტრიო", სახით ჩანს ქვეყნის ჩემპიონი ს. ულმასოვა.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

**რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებები მოქმედებაში**



გორის სპორტსკოლის ახალ შენობაში

# იზარდე მწვანე ჯეჯილო

**გორი** — ქართლის გული, დიდი სპორტული ტრადიციების მქონე ქალაქი, სამართლიანად ითვლება სპორტის ეროვნულ სახეობათა ერთ-ერთ ძირითად კერად.

...ამ ოციოდე წლის წინათ გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევს ესტუმრა იაპონელ მოჭიდავეთა გუნდი, მათ შორის — ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში სასახარა. კვირა დღე იყო და სოფელში ჭიდაობა გაემართათ. ისმოდა ზურნის ჭიჭყინი, დოლის ბაგაბუგი. საჭიდაოზე უამრავი ხალხი შეყრილიყო. მაყურებლებს იაპონელებიც შეუერთდნენ. სასახარა დიდი ინტერესით აკვირდებოდა მეჯვრისხეველი ცეროდენა ბიჭების მიერ ოსტატურად შესრულებულ ფანდებს — კისრულს, მოგვერდს, თეძოებსა და კაურებს, მერე, მათი სიჩაუქით მოხიბლულმა, მწვრთნელიც მოიკითხა. როცა უთხრეს, ამ ბავშვებს მწვრთნელი არ ჰყავთო და აუხსნეს, რომ ჭიდაობა საქართველოში თაობიდან თაობაზე გადადის, მწვრთნელი კი თავად ხალხიაო, გაოცებულმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა თქვა — ახლა კი მივხვდი რატომ არის საქართველოში ასე განვითარებული ჭიდაობა და რატომა ჰყავთ ქართველებს ამდენი შესანიშნავი ფალავანიო...

სპორტული ტრადიციებით მდიდარ ქალაქს კი, სამწუხაროდ, აქამდე არ ჰქონდა ბავშვთა სპორტული სკოლის შესაფერი ნაგებობა. ამის გამო ჯგუფები არაორგანიზებულად, ქალაქის სხვადასხვა უბნებში მეცადინეობდნენ. 1952 წლიდან სპორტულ სკოლას ეკლესიის შენობა დაეთმო, სადაც, რასაკვირველია, ნორმალური წვრთნავარჯიშის ჩასატარებლად ელემენტარული პირობების შექმნაც კი ვერ ხერხდებოდა. და აი, ამ ათი წლის წინათ, ქალაქის ცენტრში, საკონსერვო ქარხნის ყოფილ ტერიტორიაზე დაიწყო სპეციალური ნაგებობის მშენებლობა (პროექტის ავტორი ნ. ლაპიაშვილი), თუმცა ობიექტური თუ სხვა მიზეზების გამო იგი დიდხანს გაჭიანურდა. თითქმის ათი წელი ელოდებოდნენ გორელი ბავშვები ახალ შენობაში გადასვლას, მრავალმა წყალმა ჩაიარა, ბევრი თაობა დაფრთიანდა და გადაიბიჯა სასკოლო ასაკს...

წელს, 1978 წლის პირველ იანვარს სპორტული სკოლის ახალი, შესანიშნავი შენობა მიიღეს ქალაქის ნორჩმა სპორტსმენებმა. ნაგებობა მშვენივრად ერწყმის გორის არქიტექტურულ სახეს, საინტერესოდაა გადაწყვეტილი ფასადი, ინტერიერი. ნათელი ჰოლიდან კალათბურთის დარბაზში აღმოჩნდებით, რომელსაც ორ იარუსად გასდევს მაყურებელთათვის განკუთვნილი გრძელი აივნები. სხვადასხვა სართულებზე განლაგებულია ტანვარჯიშის, კრივისა და საჭიდაო დარბაზები. ბავშვთა სპორტული სკოლის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ოცდახუთმეტრიანი დახურული საცურაო აუზის მშენებლობა.

ახალმა ატმოსფერომ, მეცადინეობის გაუმჯობესებულმა პირობებმა სკოლაში ბევრი ახალი მოსწავლე მიიზიდა. ამჟამად აქ 42 ჯგუფია შექმნილი, სადაც სპორტის 12 სახეობას ეუფლებიან ნორჩები. ნაყოფიერად მუშაობენ სპორტული ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, ხელბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ძიუდოს, თავისუფალი ჭიდაობის, ჭადრაკის, ტყვიის სროლის, ქართული ჭიდაობის, კრივისა და აკრობატიკის ჯგუფები.

სკოლას განსაკუთრებული წარმატებები აქვს ჭიდაობაში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში, ფრენბურთსა და ტანვარჯიშში. რესპუბლიკის მოსწავლეთა XXX სპარტაკიადაზე აქაურმა ძიუდოისტებმა — II, მოჭადრაკეებმა — III, ტანმოვარჯიშეებმა — IV და ფრენბურთელმა გოგონებმა ასევე IV ადგილები დაიკავეს. ნორჩ ძიუდოისტთა მწვრთნელი შალვა მელაძე ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრების მწვრთნელადაა დანიშნული და მალე მისი აღსაზრდელები ტაშკენტის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე გამოსცდიან ძალებს. ამ ნაკრებში შეყვანილი არიან სპორტსკოლის მოსწავლეები გია ბუსიშვილი და ჩვენი ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონი 78 კილოგრამ წონითს კატეგორიაში ჯემალ მჭედლიშვილი.

ძიუდოისტთა გარდა ტაშკენტში ასპარეზობენ სპორტსკოლის სხვა აღსაზრდელებიც: მოჭადრაკე ციალა ქასოშვილი (მწვრთნელი შ. თოთლაძე), მძლეოსანი გურამ ზაუტაშვილი (მწვრთნელი ზ. ეფრემიძე) და კალათბურთელი რევაზ გაგნიძე (მწვრთნელი ი. ქუმელაშვილი).

მესამე წელია, რაც გორის სპორტული სკოლის ფრენბურთელ გოგონებს წვრთნის საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის ყოფილი წევრი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ელდარ კაპანაძე. სწორედ ამ ახალგაზრდა მწვრთნელის დამსახურებაა, ასე რომ შეუყვარდათ გორელ გოგონებს სპორტის ეს სახეობა.

სკოლაში გახსნილია თავისუფალი ჭიდაობის სამი ჯგუფი, სადაც 50 ბავშვია გაერთიანებული (მწვრთნელი ა. ბუხრიკიძე) და ქართული ჭიდაობის ორი ჯგუფი. სკოლაში მოსული ბიჭების უმრავლესობა სპორტის ამ სახეობას ირჩევს და ეს შემთხვევითი როდია — გორში ხომ ჭიდაობა ძალზე პოპულარულია. ამიტომ იქნება დადგა დრო, რომ რაიონში გაიხსნას ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლა, რომელიც რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად წამყვან ძალად იქცეოდა მოჭიდავეთა აღზრდის საქმეში.

გორის ბავშვთა სპორტულმა სკოლამ შარშან დააწესა სახელოვანი ფალავნის ანზორ კიკნაძის სახელობის თასი, რომლის მოსაპოვებლად ჩვენი ქვეყნის 15 მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისისა და გორის მოსწავლე-ძიუდოისტები ერკინებოდნენ ერთმანეთს. ამ მეტად საინტერესო შეჯიბრებაში გორის სპორტული სკოლის ფალავნებმა ისახელეს თავი და თასიც დაისაკუთრეს. ანეთივე ასპარეზობა მოეწყობა წელსაც.

სკოლაში (დირექტორი ქ. ხუციშვილი) 26 მაღალკვალიფიციური მწვრთნელი-პედაგოგი მუშაობს, რომელთა შორის შ. მელაძე, ლ. პეტრუშენკოვა, ე. კაპანაძე, ზ. ეფრემიძე, ი. ქუმელაშვილი, ა. ბუხრიკიძე და სხვები მოსწავლეთა შორის დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობენ...

მაშ ასე, გორში მწყობრში ჩადგა ბავშვთა სპორტული სკოლის ახალი, შესანიშნავი შენობა, რომლის დღევანდელი დღე იმის უთუო გარანტიას იძლევა, რომ იგი სულ ახლო ხანში ქართული სპორტის ახალი, პერსპექტიული კადრების სამჭედლოდ იქცევა.

**ნ. შატაიძე.**

● ● ●









**სურათებზე:** გორის ბავშვთა სპორტული სკოლის შენობა (ზემოთ); ჯგუფების მორიგ მეცადინეობებზე.

მ. ზარგარიანის ფოტოები.



ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ე. ბერიშვილი ტაშკენტიდან გვატყობინებს:

## საყოველთაო დღესასწაული

**მოსწავლეთა** სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები ტაშკენტში საყოველთაო სპორტულ ზეიმად იქცა. აქ თითქმის ყოველდღიურად ჩამოდიან სხვადასხვა რესპუბლიკის ნაკრები გუნდები, რომელთაც აეროდრომზევე ხვდებიან ქარხნების, ფაბრიკების, სხვადასხვა სასწავლებლების კომკავშირლები, თბილ მასპინძლობას რომ უწევენ ნორჩ სპორტსმენებს.

ფინალური შეჯიბრებები ჯერჯერობით მხოლოდ ოთხ სახეობაში დამთავრდა. უკვე ვიტყობინებოდით ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა მიღწევებზე, რომელთა შორის თავი გამოიჩინეს წყალში მხტომელებმა, რაპირისტმა ვაჟებმა და მოკრივეებმა.

პირველი წარმატება იზეიმეს მასპინძლებმა — უზბეკეთის ნორჩ მოკრივეთა გუნდმა ოთხი ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მათვე ერგოთ გუნდური პირველი ადგილიც. სპეციალისტების მოწონება დაიმსახურეს ჩელიაბინსკელმა შახმუჰამეტოვმა, ყარაგანდელმა ტლეულენოვმა, კიროვაკანელმა ოგანიანმა, ტაშკენტელმა ლარიუშინმა და საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონის პეტრე ზაევის უმცროსმა ძმამ ალექსანდრე ზაევმა.

ოთხი სახეობის შემდეგ ყველაზე მეტი „ოქრო" უკრაინელმა მოსწავლეებმა მოიპოვეს — 26. აღსანიშნავია, რომ მაქსიმალური უმრავლესობა მედლებისა (25) ამ რესპუბლიკის მოცურავეების ანგარიშზე მოდის.

14 სექტემბერს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადამ პირველი და უკანასკნელი ტაიმ-აუტი აიღო. მუშკეტერთა ასპარეზობის ბოლო დღეს კვლავ წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები, **საქართველოს დაშნით მოფარიკავეთა ნაკრები (ზ. სვანიძე, ვ. ხელაძე, გ. დარბაიძე, ი. ლესხორაძე) გუნდურ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გავიდა.** ფარიკაობის ყველა სახეობის შედეგების შეჯამებისას საქართველოს ნაკრებს 99,5 ქულა აღმოაჩნდა და საბოლოოდ V ადგილი ერგო. საპრიზო ადგილები კი ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა: მოსკოვი — 152,5 ქულა, რსფსრ — 128, ლენინგრადი — 122.

გუშინწინ შეჯიბრებაში აკრობატები ჩაებნენ. პირველი დღის შედეგების მიხედვით საქართველოს გუნდს 209,768 ქულა აქვს და ჯერჯერობით V ადგილზე იმყოფება.

**თანამედროვე ხუთჭიდი**

## წინ გავიდნენ

**საკავშირო** თასის გათამაშებაზე ვილნიუსში მეორე სახეობა — ფარიკაობა გაიმართა. თანამედროვე ხუთჭიდის სპეციალისტებიც გაოცებულნი დარჩნენ, როცა გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ხუთჭიდელები დაწინაურდნენ. თ. ალშენიშვილმა შესანიშნავად ჩაატარა ბრძოლები და 30 მეტოქე დაამარცხა, რისთვისაც 1084 ქულა მიიღო. ორი ბრძოლით ნაკლები მოიგო რსფსრ-ს ხუთჭიდელმა ო. ბულგაკოვმა — 1028 ქულა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს სპორტსმენებმა — 27[illegible] ქულა, II ადგილზე არიან საქართველოს ხუთჭიდელები — 26[illegible] ქულა. 84 ქულით ჩამორჩებათ მათ III ადგილზე მყოფი ლა[illegible]იელები.

ორი სახეობის შემდეგ დაწინაურდა ბულგაკოვი — 2128 ქულა. ალშენიშვილი მას 4 ქულით ჩამორჩება. III ადგილზეა ქუთაისელი მოსკოველი დინამოელი ა. ხაპ[illegible] — [illegible]ოვი 2014 ქულა. გუნდურ ჩათვლაში წინ გავიდნენ საქართველოს ხუთჭიდელები — 5840 ქულა. II ადგილზე მყოფ რსფსრ-ის სპორტსმენებს 60 ქულას უსწრებენ.

# დიდი ფეხბურთის ზეიმი

# პრინციპული მეტოქეები

რამდენიმე წლის წინ ორი საკმაოდ ავტორიტეტული სპეციალისტის საუბარს შევესწარი შემთხვევით. რა არის ფეხბურთში მთავარი, ეკითხებოდნენ ისინი ერთმანეთს, შედეგი, თუ ემოციური ზეგავლენის ხარისხი მაყურებელზე? ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოთქვეს მოსაუბრეებმა. ყველაფრის ზუსტად გამეორება უსათუოდ გამიჭირდება, მაგრამ ძირითადი აზრი კარგად მახსოვს.

სატურნირო ბრძოლების თვალსაზრისით, — იყო ერთის პასუხი, — მთავარი ალბათ მაინც შედეგია. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელები მაშინ გრძნობენ თავს მშვიდად, როცა გუნდს აქვს შედეგი. ფეხბურთისადმი ასეთ დამოკიდებულებას, ჩემის აზრით, ახსნაც მარტივი გააჩნია. არის შედეგი? ე. ი. არის სტიმულიც და მაშასადამე ყველა კმაყოფილია — მწვრთნელიც, გუნდიც, მაყურებელიც.

მაგრამ უფრო ზოგადი პოზიციიდან, — ამტკიცებდა მეორე, — ფეხბურთში მთავარი უნდა იყოს სანახაობრივი მხარე, ასე ვთქვათ გარეგნული და შინაგანი ეფექტი.

მაშინ ორთავე მოსაზრება მართებული მეჩვენა და ამის გამო კამათიც — უსაფუძვლო. ახლა კი ვფიქრობ, რომ არსებობს მესამე პასუხიც, რომელიც ამ ორი განსხვავებული ტენდენციის ერთობლიობას გულისხმობს.

ეს მესამე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფეხბურთის უმაღლესი მიზანია, რისკენაც შეგნებულად ან ქვეცნობიერად მიილტვის ყველა გუნდი. მაგრამ მიზანს, ცხადია, მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეული აღწევს, ვთქვათ ისეთი იდეალური კოლექტივი, როგორიც ჰყავდა ბრაზილიას ყველაზე დიდი და გახმაურებული გამარჯვებების ჟამს.

მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში ამ იდეალთან სხვებზე უფრო ახლოს იდგა ორი გუნდი — არგენტინა და ჰოლანდია. არგენტინელთა თამაშს მართლაც რომ ჰქონდა ეფექტი, გარკვეული ემოციური ზეგავლენა მაყურებელზე, სპეციალისტებზე, პრესაზე. ჰქონდა მას შედეგიც, რომელიც ყოველი ახალი ტურის შემდეგ აახლოვებდა გუნდს მთავარ მიზანთან.

ჰოლანდიამაც საკმაოდ სოლიდური შთაბეჭდილება დატოვა ჯერ კიდევ ჯგუფური ტურნირების პროცესში, ნახევარფინალში კი ეს შთაბეჭდილება ერთი ორად გაღრმავდა, განსაკუთრებით ავსტრიასთან ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ.

მოახლოებულ ფინიშთან მეტოქეებს, როგორც წესი, ერთმანეთის სუნთქვა ესმით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადრე თუ გვიან მათი ინტერესები გადაიკვეთება და ერთ წერტილში მოიყრის თავს. ეს წერტილი ჩემპიონატის გვირგვინად ითვლებოდა მუდამ.

...ერთმა არგენტინულმა გაზეთმა შეკითხვა დაუსვა თავის მკითხველებს: რომელი მატჩი იყო ყველაზე საინტერესო უკვე ჩატარებულ შეხვედრებს შორისო. რედაქციაში ბევრი პასუხი მისულა, მაგრამ იმდენად საპირისპირო და განსხვავებული, რომ გაზეთმა საჭიროდ არც ჩათვალა მათი დაბეჭდვა.

შეკითხვა კი, წარმოიდგინეთ, არც ისე უსაფუძვლო იყო. მართლაც რომელმა მატჩმა დატოვა ყველაზე კარგი, ყველაზე სრულყოფილი შთაბეჭდილება? ამ შეკითხვას უსათუოდ უნდა ჰქონოდა ერთი პასუხი. ასეთი აზრი მეც არაერთხელ მომსვლია თავში.

ჯგუფურ ტურნირებში ყველა შეხვედრა საინტერესო იყო იტალიელთა მონაწილეობით. აი ნახევარფინალში კი ალბათ გფრ-ისა და ჰოლანდიის მატჩი, რომელმაც, ჩემის აზრით, ყველა მოლოდინს გადააჭარბა, თუმცა....

მსოფლიო ჩემპიონის შანსები, ამ დროისთვის მინიმალური იყო და სპეციალისტებიც, ცხადია, უფრო მეტს ჰოლანდიელთა იოლ გამარჯვებაზე ლაპარაკობდნენ. სხვათა შორის, დაახლოებით ასე შეაფასა მეტოქეთა შანსები „დიდმა საფეხბურთო ლატარიამაც“ — ოთხი ერთის წინააღმდეგ ჰოლანდიელთა სასარგებლოდ. მაგრამ არაფერი არ არის ფეხბურთში ისეთი საეჭვო და მაცდური, როგორც წინასწარმეტყველება, თანაც კატეგორიული და უაპელაციო. ეს ამ ჩემპიონატის პრაქტიკამაც ცხადყო.

ყველაზე ნაადრევმა პროგნოზმა მსოფლიოს XI ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად დაასახელა დასავლეთ გერმანიის გუნდი. მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა და ჩემპიონისთვის ნახევარფინალური ტურნირი მხოლოდ პრესტიჟის ტურნირად გადაიქცა. სამაგიეროდ ყველა მოლოდინს გადააჭარბა იტალიამ. პირველი სამი მატჩის შემდეგ იგი გამარჯვების მთავარი კანდიდატი ეგონათ, მაგრამ, ვიმეორებ, მხოლოდ პირველი სამი მატჩის შემდეგ. მერე და მერე ამ გუნდის თამაშმა დაკარგა ადრინდელი ბრწყინვალება და სიმსუბუქე.

შეხვედრიდან შეხვედრამდე იცვლებოდა დამოკიდებულება ბრაზილიის მიმართაც. ჯერ იყო და მან მწარედ გაუცრუა იმედები გულშემატკივრებს ორი უფერული მატჩით შვეციასთან და ესპანეთთან. ნახევარფინალში კუტინიოს გუნდმა თითქოს აღიდგინა ფორმა, ცალკეულ მომენტებში კი ბრწყინვალე თამაშიც აჩვენა, მაგრამ ეს მაინც არ იყო ჩემპიონის ხელწერა, მისი საკადრისი დონე.

ასე თანდათან დაემხო ყველა ადრინდელი პროგნოზი გარდა ერთისა. ეს ერთი პროგნოზი მართლაც გაუგონარ შორსმჭვრეტელობას ჰგავდა, ნამდვილ სენსაციას, მოტყუვდა ყველა სპეციალისტი უკლებლივ. ზოგს ალღომ უღალატა, ზოგს მოვლენათა სწორად შეფასების უნარმა. ზოგმა სპეციალისტმა ვერაფრით დააღწია თავი ძველი შთაბეჭდილებების გავლენას, ზოგი კი ბოლომდე სუბიექტური დარჩა და ჯიუტად უარყოფდა ფაქტებს. და აი ამ საერთო შეცდომების ფონზე სასიამოვნო დისონანსი შეიტანა „დიდი საფეხბურთო ლატარიის“ პირველი ეტაპის შედეგთა შეჯამებამ. არგენტინელმა მეეზოვემ დანიელ ხისოლფომ და მისმა 13 წლის ვაჟმა ნესტორმა შეუცდომლად ამოხსნეს ჯგუფური ტურნირის ყველა შედეგი და დამატებით, ზუსტად დაასახელეს ფინალური მატჩის მონაწილენი. გამარჯვებულებმა ჯილდოდ მიიღეს კარგა მოზრდილი თანხა და ბილეთები ფინალზე დასასწრებად.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ მსოფლიო ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის შეხვედრას. ოთხი წლის წინ, მიუნხენში, ამ გუნდების გადამწყვეტმა ბრძოლამ ოფიციალურად დააკანონა ტოტალური სტილი თანამედროვე ფეხბურთის ახალ და მოდურ მსოფლმხედველობად. ახლა შეწყვეტილი კამათი გაგრძელდა კორდობაში. მეტოქეებს, ჩანს, ბევრი რამ დარჩათ სათქმელი ერთმანეთისთვის.

...გფრ და ჰოლანდია! განსხვავება ამ ორ გუნდს შორის ყოველ წვრილმანში იგრძნობა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მსგავსებაც საკმაოდ დიდი ყოფილა. აი თუნდაც მოთამაშეთა საწყის განლაგებაში. ორივე გუნდი თამაშს ხუთი მცველით იწყებს. რას ნიშნავს ეს? ისევ და ისევ დაცვით ფეხბურთს? ნურას უკაცრავად, მოედანზე ხუთ-ხუთი მცველია, ფეხბურთი კი აშკარად შემტევი.

ტოტალური ფეხბურთის ღირსებაც სწორედ ესაა. დაცვაში ზუსტი ურთიერთკავშირი და დაზღვევა, თავდასხმაში — არანაკლებ შეთანხმებული თამაში, გარემცველთა ეფექტური საფლანგო გარღვევები და ნახევარმცველთა სახიფათო მორიგეობა მეტოქის საჯარიმო მოედნის მისადგომებთან. ასეთი ტაქტიკა ტექნიკური მრავალფეროვნების გარდა ფეხბურთელებისაგან ენერგიის სიჭარბესაც მოითხოვს. დღეს ორივე მეტოქე ამ მხრივ მოწოდების სიმაღლეზეა.

ხუთი ენერგიული და ინიციატივიანი მცველი უნარიანად ეხმარება წინა ხაზს შეტევების ორგანიზაციაში. ოთხი წლის წინ ასეთი ნახაზი საოცრად ორიგინალური ჩანდა და ყოველგვარი სტანდარტისგან თავისუფალი. დღეს იგი ახალი აღარ არის, თუმცა ყველას როდი ძალუძს ასე თამაში.

მიუნხენის ფინალის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ამ ხნის განმავლობაში იოლი საქმე იყო ხუთი მცველით თამაშის გამოცხადება სავალდებულო სისტემად. ბევრი გუნდი ასე მოიქცა კიდეც, მაგრამ შედეგად არაფერი მიიღო აშკარად გამოკვეთილი დაცვითი ფეხბურთის გარდა. ბრმა მიბაძვამ მუდამ ასე იცის.

ტოტალური სტილის ფუძემდებლებმა ოთხი წლის შემდეგაც შეძლეს ხუთი მცველით აშკარად შემტევი სტილის ფეხბურთის ჩვენება. ეს ამ გუნდების დამსახურება კი არ იყო მხოლოდ. ეს მათ უპირატესობასაც ნიშნავდა სხვა გუნდებთან. მაგრამ ამ ოთხი წლის მანძილზე მსოფლიო ჩემპიონის შემადგენლობაში არსებითი ცვლილებები მოხდა. გუნდი დასუსტდა ტექნიკურად, ფსიქოლოგიურად. ამიტომ საეჭვო იყო მისი შანსები ჰოლანდიასთან. მაგრამ ჩემპიონს დიდი სურვილი ჰქონდა ერთი მატჩი მაინც ჩაეტარებინა ძველებური გაქანებით და ეს სურვილი ვიცე-ჩემპიონთან შეხვედრისთვის შემოინახა.

შიონმა შეძლებისდაგვარად განაახლა შეტევის ხაზი. აბრამჩიკისა და დ. მიულერის შემოყვანა თამაშში მართალია ნაგვიანები, მაგრამ უდავოდ სწორი გადაწყვეტილება იყო. მით უმეტეს, რომ მათ თითო გოლი გაიტანეს ამ მატჩში.

ორივე გუნდს დარჩა რამდენიმე გამოუყენებელი შანსი. მსოფლიო ჩემპიონი წინ იყო ორჯერ. ჰოლანდიამ ორივეჯერ გაათანაბრა ანგარიში. ფაქტიურად მეტოქეები გაზავდნენ და ეს ალბათ ლოგიკური შედეგიც იყო. თუმცა ისიც აშკარად იგრძნობოდა, რომ ჩემპიონმა ამ საპატიო შედეგს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი შესწირა, ჰოლანდიამ კი სამერმისოდაც შემოინახა ძალები. ამან მოგვიანებით იჩინა თავი.

მანამდე, არგენტინის პრესა ბევრს წერდა მაიერის თავისებურ რეკორდზე. ოთხ პირველ მატჩში მას არც ერთი ბურთი არ გაუშვია. მაიერის მშვიდი და დაჯერებული თამაში გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა დაცვაზე, მის საბრძოლო განწყობილებაზე. სხვა დროს, სხვა პირობებში, ეს რწმენა დიდ სამსახურს გაუწევდა ჩემპიონს, მაგრამ შიონს მოსვენებას არ აძლევდა მეორე რეკორდი, რომელიც ფიშერის სახელთან იყო დაკავშირებული.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ მსოფლიო ჩემპიონი თავის საუკეთესო გეგმებს არგენტინაში მჭიდროდ უკავშირებდა სწორედ ფიშერის სნაიპერულ მონაცემებს. ახალგაზრდა თავდამსხმელმა თავისი ქვეყნის ნაკრების ბოლო თორმეტ ოფიციალურ მატჩში 11 გოლი გაიტანა. იგი გერდ მიულერის მემკვიდრედ გამოაცხადეს ერთბაშად. ფიშერის სახელს დაუმორჩილა შიონმა ყველა იმედი, მაგრამ არგენტინაში ჩასვლისთანავე რაღაც საოცარი გარდაქმნა მოხდა ამ უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელის ფსიქიკაში. ფიშერმა დაკარგა ბურთის გრძნობა, დაკარგა ალღო, ადგილის შერჩევის უნარი, სისწრაფე. ლიდერის განწყობილება, მაშინვე გადაედო გუნდს. ბოლოს კი საქმე იქამდე მივიდა, რომ დაბნეულმა და საქციელწამხდარმა შიონმა საერთოდ უარი თქვა ფიშერზე და არ დააყენა იგი ჰოლანდიასთან პრინციპულ მატჩში. თუმცა ამ შეცვლაზე გფრ-ის ნაკრების ექიმს სხვა აზრი ჰქონდა. მისი მტკიცებით ჰოლანდიასთან შეხვედრის წინა დღეს, ძილში ფიშერმა კისერი იტკინა და დილით თავს ვერ ატრიალებდა. შესაძლოა ეს ასეც იყო, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მწვრთნელს სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა.

მაგრამ რა არის ფიშერის შემთხვევითი ტრავმა იმ ტრავმებთან, რაც ასე საბედისწეროდ, სდევდა თან ჰოლანდიის გუნდს. ვიცე-ჩემპიონზე ამბობენ, რომ იგი არასდროს არ ერიდება ძალისმიერ თამაშს, რომელიც ზოგჯერ უხეშობაშიც კი გადადის. ეს ოდნავ გაზვიადებული ნათქვამია. უხეში თამაში არ უნდა გავაიგივოთ ათლეტურ თამაშთან, რაშიც ჰოლანდიელები მართლაც გამორჩეული არიან.

ის ფაქტიც, რომ ტრავმებმა პროცენტულად ყველაზე მეტად ჰოლანდიის გუნდი დააზარალა, მოწმობს იმას, რომ ვიღაც მასზე უფრო უხეშად, დიახ უხეშად, და არა ათლეტურად თამაშობდა. მაგრამ ეს კია — ყველასაგან განსხვავებით ჰოლანდიელები არ ქმნიან ტრაგედიას, როცა ვინმე ტრავმის გამო შემადგენლობას აკლდება.

ამ მხრივ საინტერესოა ნეესკენსის მოსაზრება, რომელიც არგენტინაში ორჯერ იყო მძიმედ ტრავმირებული: „ფეხბურთში ტრავმებს მუდამ უნდა ელოდეთ. ასეთია ეს თამაში — ძნელი და შეუბრალებელი. 10 წლის მანძილზე თოთხმეტჯერ მივიღე მუხლის უმძიმესი ტრავმა. ორჯერ ოპერაცია გახდა საჭირო. ოთხი ნაჭრილობევი მაქვს მკერდზე, ორი—სახეზე. ბრძოლის დროს ტრავმა ლოგიკურია, თუმცა უმჯობესია ეს არ ხდებოდეს. ტრავმებს მეტნაკლებად ყველა ეგუება, მათ შორის მეც. წონასწორობიდან გამოვყავარ მხოლოდ შეგნებულ უხეშობას, როცა ფეხბურთელი ცდილობს მწყობრიდან გამოთიშოს მეტოქე. აი ასეთი ტრავმა მივიღე შოტლანდიელებთან შეხვედრის დროს“.

გფრ — ჰოლანდიის მატჩში ურუგვაელმა არბიტრმა ბარეტომ მოედნიდან გააძევა ჰოლანდიელი ნანინგა, რომელმაც ის-ის იყო შეცვალა ვილდსჰუტი. მაშინვე დაიწყო ლაპარაკი ჰოლანდიელთა ჩვეულ უხეშობაზე და იმაზე, რომ მსაჯის გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, სწორი იყო. გასაკვირია, ნეესკენსის ტრავმას ასეთი რეზონანსი და ფართო პრესა არ ჰქონია. ნანინგას საქციელის გასარკვევად კი სპეციალური საპელაციო ჟიური შეიკრიბა.

და რა გამოირკვა მერე? უხეშობას თურმე საერთოდ არ ჰქონია ადგილი. იყო უსიამოვნო ინციდენტი ნანინგასა და ჰოლცენბაინს შორის, რომელიც ესოდენ მკაცრ სასჯელს არ იმსახურებდა. მაგრამ შეცდომის გამოსწორება უკვე ძნელი იყო, საჯარიმო დარტყმის წინ, რომელიც არბიტრმა გერმანელთა კარის მიმართულებით დანიშნა, ჰოლცენბაინმა მოულოდნელად ცხვირში ჩაავლო ხელი ნანინგას და ჰკითხა:

— რას იტყვი ამაზე?

ნანინგა არ დაიბნა, მუშტი უთავაზა მეტოქეს მუცელში და თავის მხრივ ასეთი კითხვა დაუსვა ჰოლცენბაინს:

— შენ რაღას იტყვი?

მსაჯმა, რომელიც ფეხბურთელებზე ნაკლებად არ ნერვიულობდა, მოულოდნელად თვალი შეასწრო მეორე ეპიზოდს, არ ჰკითხა რჩევა გვერდით მსაჯს და ყვითელი ბარათი უჩვენა მხოლოდ ერთ დამნაშავეს — ნანინგას. ჰოლანდიელმა ეს გადაწყვეტილება უსამართლოდ ჩათვალა და ირონიულად გაუღიმა მსაჯს, რამაც საბოლოოდ გამოიყვანა წონასწორობიდან ურუგვაელი.

— ჩემი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ გავიღიმე, — თქვა საპელაციო ჟიურის სხდომაზე დაზარალებულმა.

როცა დაჰკითხეს, იგივე აზრისა იყო ჰოლცენბაინი:

— ასეთი ინციდენტი ფეხბურთში ხშირად ხდება. მართალი გითხრათ ვერ მივხვდი რატომ გამწყრალა ასე არბიტრი. არც ის ვიცი, რატომ იმუქრებოდა იგი პოლიციის ჩარევით.

ჟიურიმ, ცხადია, მსაჯის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, მაგრამ ზოგადი სანქცია არბიტრების მიმართაც მიიღო. კერძოდ, ამ ინციდენტის შემდეგ ყველა მატჩზე ინიშნებოდა ფიფა-ს სპეციალური მეთვალყურე განუსაზღვრელი უფლებით.

მსგავსი კონფლიქტები, სამწუხაროდ, მანამდეც ბლომად იყო და მერეც. აი ბრაზილია — არგენტინის მატჩში კი უხეშობამ და სიმულაციამ ისეთ ფორმებს მიაღწია, რომ ერთი უცხოელი ჟურნალისტის მოსწრებული თქმით „გეგონებოდათ ფეხბურთელები გამარჯვებისთვის კი არა, ოსკარის პრიზის მიღებისთვის იბრძოდნენ (ოსკარი — საერთაშორისო პრიზია, რომელიც გადაეცემა მსახიობს ამა თუ იმ როლის საუკეთესო შესრულებისთვის).

მაგრამ ბრაზილია — არგენტინის მატჩი, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდა ფეხბურთის სამყარო და რომელმაც აშკარად არ გაამართლა მოლოდინი, მხოლოდ ამით როდი იყო სამაგალითო. მატჩს, და ეს იყო მისი მთავარი დანიშნულება, პასუხი უნდა გაეცა მთავარ კითხვაზე — ამ ორ გუნდს შორის ვინ გააგრძელებდა ბრძოლას ოქროს მედლებისთვის.

...ბუენოს აირესიდან როსარიომდე 300 კილომეტრის მანძილმა, რა თქმა უნდა, ვერ შეაშინა ფეხბურთის მოყვარულები, რომლებმაც ხმაურით დატოვეს დედაქალაქი. ბუენოს აირესი თითქოს დაიცალა. როსარიოში ჩავიდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია სრული შემადგენლობით, არგენტინის მთელი მთავრობა, რამდენიმე მეზობელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ბევრი უცხოელი საპატიო სტუმარი, რომელთა შორის იყვნენ კურტ ვალდჰაიმი და ჰენრი კისინჯერი და, რა თქმა უნდა, ყველა ადგილობრივი და ბრაზილიელი ჟურნალისტი.

„როსარიო-სენტრალს“ თავისი ხალხი ჰყავდა მოსავლელი. ამიტომ დედაქალაქიდან ჩასულ „ინჩადას“ (არგენტინელი გულშემატკივრები) და „ტორსიდას“ (ბრაზილიელი გულშემატკივრები) პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები შეაგება. მდინარე პარანას სანაპირო, სადაც წამოჭიმულია „როსარიო-სენტრალის“ დიდებული სტადიონი, გაიჭედა ბილეთებზე მონადირეებით. აქა-იქ შეტაკება მოხდა პოლიციასა და გულშემატკივრებს შორის. რამდენიმე კაცი ადგილზევე დააკავეს სპეკულაციისთვის. „ინჩადასა“ და „ტორსიდას“ განსაკუთრებით აგრესიულმა ნაწილმა ორ ადგილას შეანგრია სტადიონის შესასვლელი.

ეს იყო და ეს. სხვა, ინციდენტი ამ დღეს არ მომხდარა. „ტორსიდა“ გაყუჩებული იყო, „ინჩადა“ შეძლებისდაგვარად ბობოქრობდა, ამხნევებდა გუნდს, მაგრამ ბრძოლის მშვიდობიანმა ფინალმა დააცხრო აღტყინებული ბრბოს ვნებანი. მთავარ კითხვაზე პასუხი გაუცემელი დარჩა. ფინალში გასვლის შანსებს ორივე გუნდი ინარჩუნებდა.

მაგრამ ეს ყველაფერი იოლი სათქმელი იყო თამაშის შემდეგ. თვით ბრძოლის პროცესში კი?... ერთი აზირებული სტატისტიკოსის მტკიცებით მენოტიმ მატჩის მსვლელობაში 70 სიგარეტი მოსწია. კუტინიომ კი ოთხჯერ მიიღო ვალიდოლი და შესვენებაზე დამამშვიდებელი ნემსი გაიკეთა. პელემ და ჟაირზინიომ, რომლებიც კომენტარს უკეთებდნენ შეხვედრის მსვლელობას, ფიცი დასდეს, რომ არასდროს მოკიდებენ ხელს ამ ჯოჯოხეთურ საქმეს.

— რამდენად ადვილია თურმე თამაში და რამდენად ძნელია იმ შეხვედრის კომენტირება, სადაც შენიანებმა უსათუოდ უნდა მოიგონ.

...თვითონ ბრძოლა? იგი უფრო პრინციპული იყო და ამიტომაც ნერვიული, ვიდრე სანახაობრივი. მენოტიმ ტრადიციულად ოთხი ფორვარდი გამოიყვანა. ბრაზილიელებმაც, მოულოდნელად, აქცენტი შეტევაზე გადაიტანეს. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი არ ჩქარობდა მოვლენათა ფიქსირებას, თითქოს ხაზს უსვამდა იმას, რომ დრო ბევრი ჰქონდა. არგენტინას, პირიქით დრო არ ჰყოფნიდა, გამუდმებით წინ მიიწევდა და სიჩქარეში ბევრ შეცდომას უშვებდა.

— მხოლოდ ერთხელ ვუღალატეთ ჩვენს პრინციპს ამ ჩემპიონატში და უარი ვთქვით თამაშზე შედეგის სანაცვლოდ, — თქვა გულნატკენმა მენოტიმ პრეს-კონფერენციაზე. თუ რა გამოვიდა ამ ავანტიურისტული გეგმიდან, ყველამ ნახეთ. ასეთ შეცდომას მომავალში აღარ დავუშვებთ.

სრული ჭეშმარიტებაა, ამ დღეს მენოტის გუნდი ყველაზე უფრო მეტად დაშორდა თავის თავს.

— მატჩის მოგება შეიძლებოდა. ყოველ შემთხვევაში თამაშით კმაყოფილი ვარ, — თქვა კუტინიომ იმავე პრეს-კონფერენციაზე. მგონი დავამტკიცეთ, რომ ოქროს მედლებისთვის ბრძოლა არ აღემატება ჩვენს შესაძლებლობებს.

ბრაზილიამ თითქოს მართლაც შეძლო შეუძლებელი ამ მატჩში. რაღაც ჯადოსნური ხერხებით მოინუსხა მეტოქე, ამოაგდო იგი ჩვეული რიტმიდან და თვით გახდა მდგომარეობის ბატონ-პატრონი.

სპეციალისტები ამბობენ, რომ ფრე ბრძოლის ლოგიკური შედეგი იყო. ეს ალბათ ასეც არის, მაგრამ არ გამიკვირდებოდა, ბრაზილიას რომ მოეგო ეს პრინციპული ბრძოლა.

ნ. გუგუშვილი.

## ჭადრაკი

### პარტია გადატანილია

**ბიჭვინთა.** მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ — მ. ჩიბურდანიძის მატჩის მეათე პარტია, რომელიც გუშინ უნდა გამართულიყო, გადაიდო მსოფლიო ჩემპიონის ავადმყოფობის გამო. იგი გადატანილია 18 სექტემბრისთვის. თეთრებით ითამაშებს გაფრინდაშვილი.

* * *



**სურათზე:** ბიჭვინთის საკურორტო დარბაზი, სადაც მიმდინარეობს ნ. გაფრინდაშვილ — მ. ჩიბურდანიძის მატჩი.

თ. ქიქავას ფოტო.

●

### მეჩვიდმეტე ყაიმი

**გუშინ** ბაგიოში (ფილიპინები) ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩის ოცდამესამე პარტია გაიმართა. შავებით მსოფლიო ჩემპიონი თამაშობდა. პარტია დასრულდა ყაიმით, რომელიც მეჩვიდმეტედ აღინიშნა ამ ორთაბრძოლაში.

ამრიგად, ანგარიში კვლავ უცვლელია — 4:2 ა. კარპოვის სასარგებლოდ. ოცდამეოთხე პარტია უნდა შედგეს 19 სექტემბერს.

**ავსტრიის** ქალაქ გრაცში მიმდინარე ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები ს. დოლმატოვი და ა. იუსუპოვი. 10 შესაძლებლიდან დოლმატოვს 8,5 ქულა აქვს, მსოფლიოს 1977 წლის ჩემპიონს იუსუპოვს — 7,5

**ჰოლანდიის** ქალაქ ტილბურგის დიდ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა უნგრელმა დიდოსტატმა ლ. პორტიშმა, რომელმაც 7 ქულა მოაგროვა 11-დან. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ბ. სპასკის 5,5 ქულა აქვს და ჩეხოსლოვაკიელ ვ. ჰორტსა და ამერიკელ უ. ბრაუნთან ერთად VI-VIII ადგილებს იყოფს.

**პოლონეთის** საკურორტო ქალაქ ზელენა-გურაში ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში მოსკოველმა ტ. ზატულოვსკაიამ 4,5 ქულა მოაგროვა 11-დან. გაიმარჯვა მასპინძელმა ა. მაცეევსკიმ — 8 ქულა.

## ალიმ შეასრულა დაპირება

გამოჩენილმა ამერიკელმა მოკრივემ მუჰამედ ალიმ შეასრულა დანაპირები — მან დაიბრუნა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება პროფესიონალებს შორის — პარასკევს, 15 რაუნდიან ბრძოლაში (ახალი ორლეანი) დამაჯერებლად გაიმარჯვა ლეონ სპინქსთან.

კრივის ისტორიაში ალი პირველი სპორტსმენია, რომელმაც სამჯერ მოახერხა უმაღლესი ტიტულის დაბრუნება. მატჩი მიმდინარეობდა ვეებერთელა დახურულ სტადიონზე, სადაც თავი მოიყარა 70 ათასმა მაყურებელმა. მატჩი ტელევიზიით გადაიცა აშშ-სა და სხვა ბევრ ქვეყანაში.

36 წლის ალის თქმით მას ასე გულმოდგინედ არც ერთი მატჩის წინ არ უვარჯიშია. მრავალრიცხოვან სპეციალისტთა შეფასებით მატჩის ცალკეულ მომენტებში ალი იბრძოდა ისე, როგორც თავის საუკეთესო წლებში. სხვათა შორის, მისი მეტოქე სპინქსი ჩემპიონზე 11 წლით უმცროსია.

„ყველა გავაცრუე, — ღიმილით თქვა ალიმ მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე. — ვარჯიში დავიწყე სამი თვით ადრე მანამდე, ვიდრე ოფიციალურად გავხსნიდი ჩემს სავარჯიშო ბანაკს ილინოის ბოლოს“.

და ეს მართლაც ასეა — საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროსაც კი ყოველ დილით ალი კარგა ხანს დარბოდა მოსკოვის ქუჩებში, კროსები არ შეუწყვეტია სამარყანდსა და ბუხარაშიც.

სამივე მსაჯმა, რომლებიც ქულებს ითვლიდნენ (პროფესიონალების წესებით ქულათა ანგარიში ბოლოსდაბოლოს მოგებული და წაგებული რაუნდების აღნუსხვით შემოიფარგლება) ერთხმად მიაკუთვნა გამარჯვება ალის. ორმა ჩათვალა, რომ ალიმ მოიგო ათი რაუნდი, წააგო ოთხი, ერთიც ფრედ დაამთავრა. მესამე მსაჯმა ალის 11 რაუნდი მიაკუთვნა. (საკდესი).

**საფრანგეთის** გზებზე მიმდინარე ველოსიპედისტთა საერთაშორისო მრავალდღიანი ასპარეზობის — „ტურ დე ლ'ავენირის“ მეათე ეტაპზე საბჭოთა სპორტსმენებმა სრული უპირატესობით გაიმარჯვეს: ქალაქ მორზინში მოწყობილ ფინიშთან პირველნი მიიჭრნენ კუიბიშეველი რ. გალიალეტდინოვი (114 კმ 3 საათში, 23 წუთსა და 26 წამში გაიარა), დუშამბელი ს. ჰუსეინოვი, კუიბიშეველი ა. ავერინი და ლენინგრადელი ს. მოროზოვი.

საერთო ჩათვლაში ლიდერობას კვლავ კუიბიშეველი ს. სუხორუჩენკოვი ინარჩუნებს. ამ ეტაპზე გამარჯვების შემდეგ გალიალეტდინოვმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა და ახლა იგი ლიდერს 2 წუთითა და 23 წამით ჩამორჩება, მესამე ადგილზეა ავერინი, რომელიც ლიდერობს ყველაზე სტაბილური მრბოლელის სახელისთვის ბრძოლაში, ხოლო მოროზოვი ინარჩუნებს „მთის მეფის“ ტიტულს.

შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ეტაპი რჩება. გუნდურ ჩათვლაში შეჯიბრების ლიდერი — სსრ კავშირის ნაკრები მეორე ადგილზე მყოფ იტალიის გუნდს 26 წუთსა და 11 წამს უგებს.

## ველოსპორტი

## ავთანდილ ღოღობერიძის სახელობის პრიზზე

**თბილისის** ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე 21 სექტემბერს სტარტს აიღებს ვეტერანთა საკავშირო ტურნირი შესანიშნავი ქართველი ფეხბურთელის, თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტნის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ავთანდილ ღოღობერიძის პრიზზე.

მწვანე მინდორზე კვლავ ვიხილავთ საბჭოთა ფეხბურთის გამოჩენილ ოსტატებს — ა. ღოღობერიძის მეგობრებსა და სპორტულ მეტოქეებს. ასპარეზობაში 4 გუნდი მონაწილეობს — მოსკოვის, კიევის, ერევნისა და თბილისის. თითოეულის შემადგენლობაში მრავლად არიან სახელოვანი მოთამაშეები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს სამამულო ფეხბურთს.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის გუნდში (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ვ. პოლიაკოვი) გამოვლენ: ა. კავაზაშვილი, ვ. პონომარიოვი, ა. კრუტიკოვი, ვ. ფედოტოვი, ვ. ბუბუკინი, გ. ჰუსაინოვი და სხვ. კიეველთა (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. იძკოვსკი) ღირსებას დაიცავენ ე. რუდაკოვი, ვ. შჩეგოლკოვი, ფ. მედვიდი, ლ. ოსტროვსკი, ტ. პოპოვიჩი, ვ. ლევჩენკო, ვ. ტროიანოვსკი... ერევნელთა გუნდში (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ქ. ტეკნეჯიანი) ვიხილავთ უ. ხუპრიკიანს, ვ. ოვსეპიანს, ა. კოვალენკოს, ე. ვართანიანს, ნ. კაზარიანს, ს. ოვივიანს, ლ. იშტოიანს...

აი, ვინ დაიცავს მასპინძელთა გუნდის (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. მესხი) ღირსებას: ს. კოტრიკაძე, გ. გაგუა, ბ. სიჭინავა, მ. ხურცილავა, ვ. ჭელიძე, ზ. ებრალიძე, დ. ხუნდაძე, ლ. ყორღანია, გ. გავაშელი, ლ. ნოდია და სხვ. ვეტერან ფეხბურთელთა ტურნირის (იგი 3 დღეს გასტანს) მთავარი მსაჯია საკავშირო კატეგორიის არბიტრი გ. მაქანიძე.

გთავაზობთ ასპარეზობის კალენდარს: **21 სექტემბერს:** მოსკოვი — კიევი, ერევანი — თბილისი; **22 სექტემბერს:** თბილისი — კიევი, მოსკოვი — ერევანი; **24 სექტემბერს:** კიევი — ერევანი, თბილისი — მოსკოვი. მატჩების დასაწყისი 17 და 19 საათზე.

## ფეხბურთი

### ბეკენბაუერი „ბაიერნის“ წინააღმდეგ

**ბონი.** მიუნხენელი ფეხბურთის მოყვარულები ინტერესით მოელოდნენ ადგილობრივი „ბაიერნის“ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს ცნობილ ამერიკულ პროფესიულ კლუბ „კოსმოსთან“ (ნიუ-იორკი). ინტერესს აღვივებდა ის გარემოება, რომ „კოსმოსის“ რიგებში გამოდიოდა „ბაიერნისა“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ფრანც ბეკენბაუერი.

მაგრამ ფ. ბეკენბაუერმა ვერაფერი უშველა „კოსმოსს“: „ბაიერნმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 7:1 (3:0).

გერმანელმა ბომბარდირმა გ. მიულერმა შესვენებამდე გაიტანა 3 ბურთი, ხოლო მისმა პარტნიორებმა რუმენიგემ და იანსენმა შესვენების მერე კიდევ ორ-ორი. „კოსმოსის“ ერთადერთი გოლის ავტორი იყო იტალიელი კინალია.

### ზიკო ტოვებს ბრაზილიას

რიველინოსთან ერთად, რომელიც საუდის არაბეთში გადავიდა ბრაზილიიდან, იგივეს აპირებს კიდევ ერთი ცნობილი ფეხბურთელი — ზიკო. ეს გამოჩენილი თავდამსხმელი მოლაპარაკებას აწარმოებს საუდის არაბეთის ერთ-ერთ კლუბთან.

## ღიღინი

### მდგომარეობა აიძულებს

კანადის ცნობილ პროფესიულ კლუბ „მონრეალ კანადიენსის“ მეკარეს კენ დრაიდენს დიდ პატივს სცემენ არა მარტო როგორც გამოჩენილ ჰოკეისტს, არამედ ლიგის ერთადერთ სპორტსმენს, რომელსაც უმაღლესი განათლება აქვს.

— ყველა ცხოვრებისეულ შემთხვევაში ჰოკეისტები მე მეკითხებიან რჩევას, სასიყვარულო ბარათების შედგენის დროსაც კი, თუმცა მე მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტი დავამთავრე, — განაცხადა მეკარემ.

### ნუგზარის ჭამისთვის

ბრაზილიის მოცურავე ჯან მადრუგა, რომელმაც 1976 წელს მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში IV ადგილი დაიკავა თავისუფალი სტილით ცურვაში, მწვრთნელმა გუნდიდან გარიცხა. რატომ? თურმე მწვრთნელის გაფრთხილების მიუხედავად, სპორტსმენი დიდი რაოდენობით ჭამდა ტკბილეულსა და ნაყინს.

### ძიუდო... ქაბას იცვამს

ამასწინათ ტოკიოში გაიმართა იაპონიის პირველი ჩემპიონატი ძიუდოში... ქალთა შორის. ამასთან დაკავშირებით იაპონიის ძიუდოს ფედერაციამ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა:

„დანაშაულობა იზრდება. სუსტი სქესის წარმომადგენლები ძიუდოს ილეთებს თუ დაეუფლებიან, უფრო ეფექტურად შეძლებენ თავის დაცვას პოტენციური აგრესორებისაგან“.

რედაქტორი ა. ბასილაია.

## „არარატი“ ფინალში

**ინდოეთის** ქალაქ კალკუტაში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს ერევნის „არარატი“. ერევნელებმა მოუგეს დასავლეთ ბენგალიის გუნდს — 1:0 და გავიდნენ ფინალში, სადაც მათი მეტოქე იქნება „მოხუნ ბაგანი“.

## უეფა-ს თასზე

განვლილ ხუთშაბათს შედგა ფეხბურთში უეფა-ს თასის ოცდამეთორმეტედფინალის 2 მატჩი.

ქ. პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“ (საბერძნეთი) ანგარიშით 2:1 მოუგო „ლევსკი-სპარტაკს“ (სოფია, ბულგარეთი).

ბუდაპეშტის „ჰონვედის“ (უნგრეთი) ფეხბურთელებმა დაამარცხეს „ადანასპორი“ (თურქეთი) — 6:0.

## მხიარული ფანქრით



უსიტყვოდ.

ა. ოქროპირიძის ნახატები.

## „სპორტლოტო“

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს“ მორიგი, 37-ე ტირაჟი.

„სპორტლოტო“ 6-49-დან:

პირველი: 4 (ალპინიზმი), 18 (რიკაობა), 20 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 33 (რეგბი), 35 (სპიდვეი), 44 (ფიგურული ციგურაობა). შეღავათიანი ბურთულა 11 (ველოსპორტი).

მეორე: 1 (საავიაციო სპორტი), 15 (წყალბურთი), 22 (ციგურები), 32 (წყალში ხტომა), 42 (ძალოსნობა), 45 (ფეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა 37 (სროლა).

„სპორტლოტო“ 5-36-დან:

პირველი: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 16 (საცხენოსნო სპორტი), 19 (სათხილამურო რბოლა), 27 (თანამედროვე ხუთჭიდი).

მეორე: 1 (კალათბურთი), 6 (კლასიკური ჭიდაობა), 7 (ველოტრეკი), 14 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 36 (მაიბიანი ჰოკეი).

## კონკურსი — „საერთაშორისო ოლიმპიური სპორტლოტო“

1978 წლის 15 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქში — პრაღაში, გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიური ლატარიის მეორე ტირაჟი.

„სპორტლოტოს“ საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო აცხადებს კონკურსს საერთაშორისო ოლიმპიურ ლატარიაში გამარჯვებულთათვის. კონკურსის დებულების თანახმად ვინც გამოიცნობს ლატარიაში 6 სპორტულ სახეობას, მაქსიმალური ფულადი მოგების გარდა ჯილდოვდება „ჟიგულის“ მარკის მანქანის ურიგოდ გამოყვანის ტალონით.

შეგახსენებთ, რომ გარდა ფულადი მოგებისა (3-დან 10.000 მანეთამდე), „საერთაშორისო ოლიმპიურ სპორტლოტოში“ შეიძლება მოიგოთ ტურისტული საგზური საზაფხულო XXII ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრებლად.

კონკურსის დებულების თანახმად „ოლიმპიადა-80“-ის საგზურის მფლობელიც ჯილდოვდება მანქანის ურიგოდ გამოყვანის ტალონით.

„საერთაშორისო ოლიმპიური სპორტლოტოს“ მეორე ტირაჟი ტრანსლირებული იქნება 15 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიის სპორტულ-გასართობი პროგრამის მიმდინარეობის დროს, რომელიც დაიწყება 22 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით.

მიიღეთ მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიურ ლატარიაში!.

„საქსპორტლოტო“

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 10182